ოქმი:**ო08. 3723269001**
თარიღი:**26/09/2023**

ოქმი № 15

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის სხდომის

2023 წელი, 22 სექტემბერი

ქ.ოზურგეთი

12.00 -13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: თ. ტუღუში, ბ. კილაძე, გ. კილაძე, გ. შილაკაძე, ალ. ბურჭულაძე, დ. დარჩია, ლ. ბიგვავა, გ. ჩავლეშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დ. ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: თ. მურვანიძე

სხდომის თავმჯდომარემ, დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საკრებულოში წარმოდგენილი განკარგულების პროექტი : „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხოლო თანამომხსენებელმა თ. მურვანიძემ ვრცლად ისაუბრა სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესზე, მის მნიშვნელობასა და შესრულების ღონისძიებებზე, რომლებიც უშუალოდ მუნიციპალიტეტმა უნდა განახორციელოს. აღნიშნული პროექტი დაიწყო შესაბამისი სამინისტროებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი საქმიანობით. გეგმა მოიცავს 2023-2030 წლებს, შემდეგ განიხილა გეგმის ძირითადი მიმართულებები, გეგმა მოიცავს მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხულ შენობებს, ტრანსპორტს და გარე განათებას, ამ სეგმენტში მოხმარებულ ენერგიას, საწვავს და ა.შ. დეგმა შემუშავებულია 2019 წლის მონაცემების საფუძველზე, ითვალისწინებს პროგნოზს, რომელიც მიღწეული უნდა იქნას 2030 წლისათვის. ძირითადი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა პასუხის რეჟიმში, თანამომხსენებელმა თ. მურვანიძემ გააკეთა კონკრეტული განმარტებები და უპასუხა დასმულ შეკითხვებს, კომისიის წევრმა გ. შილაკაძემ მოიწონა გეგმის პროექტი, დასვა შეკითხვა- რა სახის ენერგიის გამოყენება ხდება საბავშვო ბაღებში და ხომ არაა გათვალისწინებული მზის ენერგიის გამოყენებაზე გადასვლა? განუმარტეს, რომ გეგმაში ენერგიის დაზოგვის მიზნით

გათვალისწინებულია შენობების დათბუნება, მზის ენერგიის გამოყენებაზე გადსვლა კი ბიუჯეტიდან დამატებით ასიგნებებს მოითხოვს. კომისიის წევრმა ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ გარდა მუნიციპალიტეტის სეგმენტისა საწვავს მოიხმარს კერძო სექტორიც, გეგმაში თუა ეს ასპექტი გათვალისწინებული? განუმარტეს, რომ გეგმა გათვალისწინებულია მხოლოდ მუნიცპალიტეტის სეგმენტზე, კერძო სექტორში გათვალისწინებულია მუშაობა ცნობიერების ამაღლების მიზნით. მუშავდება ქვეყნის ეროვნული სამოქმედო გეგმა, სადაც გათვალისწინებული იქნება კერძო სექტორი. კომისიის წევრმა გ. ჩავლეშვილმა აღნიშნა, რომ გეგმა სერიოზულადაა შემუშავებული და ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სითბური აირების გამოყოფის შემცირებას, მოსავლიანობის ზრდას, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას, ენერგიის დაზოგვას, მეტი ინვესტიციების შემოსვლას, მოუწოდა კოლეგებს მხარი დაეჭირათ სამოქმედო გეგმის დამტკიცებისათვის. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს განკარგულების პროექტის ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

აღნიშნული საკითხები განხილულ იქნა მუდმივმოქმედ კომისიათა ერთობლივ სხდომაზე.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი საკითხი წარდგენილ იქნას ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი
რესურსების საკითხების კომისია-კომისიის
თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი